

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25
2019 წლის 16 დეკემბერი

დაბა სტეფანწმინდა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი თანდართული რედაქციით:

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 დეკემბრის №39 დადგენილება (www.matsne.gov.ge 01.01.2019, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.151.016267) „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 3

დადგენილების მოქმედება გავრცელდეს 2020 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 4

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გრიგოლ სეთურიძე

დანართი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	11202.2	12321.1	3414.1	8907.0	9094.4	85.0	9009.4
შემოსავლები	11020.9	12052.1	3414.1	8638.0	9094.4	85.0	9009.4
არაფინანსური აქტივების კლება	181.3	269.0	0.0	269.0	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



ვალდებულებების ზრდა	0.0	0,0	0.0	0,0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	12357.3	19561.2	4154.5	15406.7	9094.4	85.0	9009.4
ხარჯები	5080.3	6999.8	608.1	6391.7	5753.6	85.0	5668.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	11963.7	12408.1	3393.1	9015.0	3316.4	0.0	3316.4
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0,0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	0.0	0,0	0.0	0,0	24.4	0.0	24.4
ნაშთის ცვლილება	-1155.2	-7240.1	-587.1	-6653.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	11020.9	12052.1	3414.1	8638.0	9094.4	85.0	9009.4
გადასახადები	4911.1	4687.8	0.0	4687.8	4809.4	0.0	4809.4
გრანტები	1315.3	3414.1	3414.1	0.0	85.0	85.0	0.0
სხვა შემოსავლები	4794.5	3950.2	0.0	3950.2	4200.0	0.0	4200.0
ხარჯები	5080.3	7153.1	608.1	6545.0	5753.6	85.0	5668.6
შრომის ანაზღაურება	994.0	1197.7	36.0	1161.7	1247.7	36.0	1211.7
საქონელი და მომსახურება	386.4	1047.8	57.1	990.7	557.0	4.0	553.0
პროცენტი	0.0	16.9	0.0	16.9	15.5	0.0	15.5
სუბსიდიები	3427.7	3404.1	45.0	3359.1	3453.1	45.0	3408.1
გრანტები	6.0	7.0	0.0	7.0	7.0	0.0	7.0
სოციალური უზრუნველყოფა	189.8	288.4	0.0	288.4	300.4	0.0	300.4
სხვა ხარჯები	47.1	1191.2	470.0	721.2	172.9	0.0	172.9
საოპერაციო სალდო	5940.5	4899.0	2806.0	2093.0	3340.8	0.0	3340.8
არაფინანსური აქტივების ცვლილება	7095.7	12139.1	3393.1	8746.0	3316.4	0.0	3316.4
ზრდა	7277.0	12408.1	3393.1	9015.0	3316.4	0.0	3316.4



კლება	181.3	269.0	0.0	269.0	0.0	0.0	0.0
მთლიანი სალდო	-1155.2	-7240.1	-587.1	-6653.0	24.4	0.0	24.4
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1155.2	-7240.1	-587.1	-6653.0	0.0	0.0	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	1155.2	7240.1	587.1	6653.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	1155.2	7240.1	587.1	6653.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	0.0	0.0	0.0	0.0	-24.4	0.0	-24.4
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	0.0	0.0	0.0	24.4	0.0	24.4
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0.0	0.0	0.0

მუხლი 3. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 9094.4 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	11020.8	12052.1	3414.1	8638.0	9094.4	85.0	9009.4
გადასახადები	4911.0	4687.8	0.0	4687.8	4809.4	0.0	4809.4
გრანტები	1315.3	3414.1	3414.1	0,0	85.0	85.0	0.0
სხვა შემოსავლები	4794.5	3950.2	0.0	3950.2	4200.0	0.0	4200.0

მუხლი 4. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 4809,4 ათ. ლარის ოდენობით:

			2019 წლის გეგმა		2020 წლის პროექტი	
			მათ შორის		მათ შორის	



დასახელება	კოდი	2018 წლის ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	11	4911.1	4687.8	0,0	4687.8	4809.4	0.0	4809.4
საშემოსავლო გადასახადი	111	164.4	0.0	0,0	0.0	0.0	0.0	0.0
ქონების გადასახადი	113	4746.7	4600.3	0.0	4600.3	4700.0	0.0	4700.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	4342.3	4300.0	0.0	4300.0	4400.0	0.0	4400.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	77.2	1.0	0.0	1.0	2.0	2.0	2.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	9.4	0.8	0.0	0.8	1.0	0.0	1.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	317.7	298.5	0.0	298.5	297.0	0.0	297.0
დამატებითი ღირებულების გადასახადი	11411	0,0	87.5	0,0	87.5	109.4	0.0	109.4

მუხლი 5. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 85.0 ათ. ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
გრანტები	1315.3	3414,1	85.0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	19,3	0,0	0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1296,0	3414,1	85.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	85,0	437,6	85.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	0.0	0,0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	85,0	437,6	85.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1211,0	2976,5	0.0



საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	1211,0	2624,5	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0	352,0	0.0
მგფ-ის თანადაფინანსება	0,0	0,0	0.0
საქ. მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა	0,0	0,0	0.0
სხვა პროექტები	0,0	0,0	0.0

მუხლი 6. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სხვა შემოსავლები 4200.0 ათ.ლარის ოდენობით:

დასახელება	კოდი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
სხვა შემოსავლები	14	4794.5	3950.2	4200.0
შემოსავლები საკუთრებიდან	141	373.8	142.2	154.0
პროცენტები	1411	151.3	40.0	120.0
რენტა	1415	222.5	102.2	34.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	201.4	100.0	20.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	21.1	2.2	14.0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	14159	0.0	0.0	0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	2992.8	2848.5	2959.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	2943.7	2818.5	2941.0
სანებართვო მოსაკრებელი	14223	6.8	6.2	6.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	142212	2,0	0.0	0.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	142213	2916.0	2800.0	2900.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	18,9	12.3	35.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	142299	0.0	0.0	0.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	49,1	30.0	18.0
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	14232	49,1	30.0	18.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	1235,9	897.5	1037.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	192,0	62.0	50.0



მუხლი 7. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 5753.6 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	5080,3	7153.1	608,1	6545.0	5753.6	85.0	5668.6
შრომის ანაზღაურება	994,0	1197,7	36,0	1161,7	1247.7	36.0	1211.7
საქონელი და მომსახურება	386,4	1047.8	57,1	990.7	557.0	4.0	553.0
პროცენტი	29,3	16,9	0,0	16,9	15.5	0.0	15.5
სუბსიდიები	3427,7	3404.1	45,0	3359.1	3453.1	45.0	3408.1
გრანტები	6,0	7,0	0.0	7,0	7.0	0.0	7.0
სოციალური უზრუნველყოფა	189,8	288.4	0.0	288.4	300.4	0.0	300.4
სხვა ხარჯები	47,1	1191.2	470,0	721.2	172.9	0.0	172.9

მუხლი 8. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება



განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 3316.4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 3316.4 ათასი ლარის ოდენობით

	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
წარმომადგენლობითი და ადმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	457.2	264.0	0,0
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.0	0,0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6665.7	11167.7	2930.4
საგანმანათლებლო ღონისძიებები	150.1	851.2	386.0
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	12.5	105.2	0.0
სოციალური უზრუნველყოფა		20.0	
სულ ჯამი	7285.5	12408.1	3316.4

ბ) განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	181.3	269.0	0,0
ძირითადი აქტივები	0.0	0,0	0,0
მატერიალური მარაგები	0.0	0,0	0,0
არაწარმოებული აქტივები	181.3	269.0	0,0
მიწა	181.3	269.0	0,0

მუხლი 9. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში , თანდართული რედაქციით:

	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1191.9	2072.9	1700.6
7011	ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1191.9	2072.9	1700.6
70111	ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1191.9	1972.9	1660.6



70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	100.0	40.0
702	თავდაცვა	32.5	44.0	44.0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0,0	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0.0	0,0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	3100.2	8134.0	2930.4
7045	ტრანსპორტი	3100.2	5104.8	2436.5
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3074.9	5104.8	2436.5
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	0.0	0.0	0.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	25.3	3029.2	493.9
705	გარემოს დაცვა	942.8	2537.3	1230.4
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	0.0	28.5	1230.4
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	942.8	2508.8	0.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	783.1	2870.5	37.0
7063	წყალმომარაგება	544.7	0.0	0.0
7064	გარე განათება	1.3	0.0	0.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	237.1	2870.5	37.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	42,0	73.5	90.3
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	42,0	73.5	90.3
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	522.3	1567.7	1168.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	212.6	124.4	20.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	309.7	1438.3	1143.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	0,0	5.0	5.0
709	განათლება	929.5	1821.7	1468.3
7091	სკოლამდელი აღზრდა	600.0	918.2	1082.3
7092	ზოგადი განათლება	171.5	903.5	386.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	171.5	903.5	386.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	158.1	0.0	0.0
710	სოციალური დაცვა	172.2	439.6	425.4
	ავადმყოფთა და შეზღუდული			



7101	შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	140.2	229.6	213.8
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	136.9	205.8	210.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	3.3	23.8	3.8
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	28.3	166.0	172.6
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა	3.7	44.0	39.0
	სულ	7716.5	19561.2	9094.4

მუხლი 10. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 24.4 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12 მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 24,4 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2020-2023 წლებისათვის, პროგრამები/ქვეპროგრამები.

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2781,0 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიხედვით და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2019 წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	2967.4
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2436.5
02 01 01	ახალი გზების მშენებლობა	2436.5
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	0,0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	0,0
02 02 01	წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია	0,0
02 02 02	საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია	0,0
02 03	გარე განათება	0,0



02 03 01	გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია	0,0
02 04	კეთილმოწყობის ღონისძიებები	0,0
02 04 01	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	20.0
02 04 02	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	0,0
02 05	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის უზრუნველყოფა	493.9
02 06	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	17,0
02 07	განაშენიანების გეგმა	0,0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალი გზების მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		2436.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საავტომობილო გზების, ხიდების და ბოგირების მშენებლობის აუცილებლობა.		
მიღწეული შედეგი	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არის გზები, რომლებსაც წლების განმავლობაში არ ჩატარებია კაპიტალური რემონტი, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. კერძოდ, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საგზაო ინფრასტრუქტურის კაპიტალური რემონტი შემდეგ ლოკაციაზე: გორისციხის ადმინისტრაციულ ერთეულში ფხელშე-გორისციხის გზის რეაბილიტაცია და გორისციხის ხიდის მშენებლობა.		
	ფხელშე-გორისციხის გზა იქნება სრულად რეაბილიტირებული. რეაბილიტირებული გზები დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ამ გზით სარგებლობა იქნება უსაფრთხო და კომფორტული. 2020 წელს რეაბილიტირებული გზებით საერთო ჯამში ისარგებლებს 1095 ადგილობრივი მოსახლე და ტურისტი, მათ შორის 950 ადგილობრივი მცხოვრები 145 ტურისტი.		
	გორისციხის ადმინისტრაციულ ერთეულში იგეგმება გორისციხის ხიდის მშენებლობა. აშენებული ხიდი დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. მშენებლობა 2019 წელს დაიწყო. ამ ხიდით სარგებლობა იქნება უსაფრთხო და კომფორტული. 2020 წელს ხიდით საერთო ჯამში ისარგებლებს 1100 ადგილობრივი მოსახლე და მგზავრი.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა	დაფინანსება ათას ლარში
	02 05		493.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის ,ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდარტებს)

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	02 06		17,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელიც განხილული და შეჯერებული იქნება თვით მოსახლეობასთან		
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის ფარგლებში მიიღწევა ყველა ადმინისტრაციული ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება		

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1230,4 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2019 წლის პროექტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1230,4
03 01	დასუფთავების ღონისძიებები	39,9
03 02	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის“ სამსახური	1190,5

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავების ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	03 01		39,9



პროგრამის განმახორციელებელი	ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	ყაზბეგის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შეძენა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავშიდი მანქანები.
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ყაზბეგის რაიონის დასუფთავება და ნარჩენების გატანა;

პროგრამის დასახელება	კოდი	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის“ სამსახური	დაფინანსება ათას ლარში
	03 02		1190,5
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის“ სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ კეთილმოწყობის სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი 58 მეტრზე და მუშა. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: ყანობი,ხურთისი,ფხელშე,გორისციხე, ტყარშეტი, ვარდისუბანი, ჩხოტი, სნო, ახალციხე, კარკუჩა გერგეტი და დაბა სტეფანწმინდა. ყოველდღიურად სუფთავდება 450 000 კვ. მ. ფართობი.გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნარჩენების დაგვა-დასუფთავება და მისი ოპერატიულად გატანა. პროგრამის ფარგლებში,მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანაც. ქვეპროგრამა მოიცავს აგრეთვე დ.სტეფანწმინდაში სასაფლაოების და მისი ტერიტორიის მოვლა-პატრონობას,მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამწვანებას,საგზაო ნიშნების მოწყობას, ზამთრის სეზონზე მუნიციპალური გზების გაწმენდას თოვლის საფარისგან, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების ჩატარებას,რაიონის სოფლებში წყალსადენის მოვლა პატრონობას.		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება რაიონის დასუფთავება და ნარჩენების გატანა; დაბის ქუჩების მორწყვა-გარეცხვა, დასუფთავდება არამართო სოფლები ,არამედ მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიებიც. მთელი წლის მანძილზე ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნება მაწანწალა ძაღლები,განხორციელდება ახალი ხეების და ყვავილების დარგვა,სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა.თოვლის საფარისაგან გაიწმინდება რაიონის გზები.		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1418,3 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:



პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2019 წლის პროექტი
04 00	განათლება	1468,3
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1082,3
04 02	საჯარო სკოლებისა და ბაღების რეაბილიტაცია- მშენებლობა	386,0
04 03	განათლების ხელშეწყობა	0,0

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		1082,3
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სკოლამდელ დაწესებულებათა ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.		
	შესაბამისად , მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითდ პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს.დღეის მდგომარეობით ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 8 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 214 ბავშვი.ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 109 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:		
	ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;		
	ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;		
	ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;		
	ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;		
	ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;		
	ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.		
	ა(ა)იპ - სკოლამდელ დაწესებულებათა ცენტრის თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა		
	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის		



მოსალოდნელი შედეგი	წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი დაწესებულებების ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 214 შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 70%-ს შეადგენს
--------------------	---

პროგრამის დასახელება	კოდი	ბაღებისა და სკოლების რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	04 02		386,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისტემატურად მიმდინარეობს განათლების ობიექტების რეაბილიტაცია. განხორციელდება ძირითადი აქტივების მშენებლობა, არსებულის მიმდინარე შეკეთება და მოვლა-პატრონობა. კერძოდ გათვალისწინებულია დაბა გუდაურში საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა.		
მოსალოდნელი შედეგი	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გუდაურის ადმინისტრაციულ ერთეულში, საბავშვო ბაღის შენობა დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ამ შენობით სარგებლობა იქნება უსაფრთხო და კომფორტული, შენობის მშენებლობა დაიწყო 2019 წელს. საერთო ჯამში 2020 წელს ახალი შენობით ისარგებლებს 75-მდე ადგილობრივი მცხოვრები, მათ შორის 23-მდე აღსაზრდელი .		

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

სპორტის, ახალგაზრობისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმს, მეწარმეობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, დანაშაულის პრევენციას, კულტურული დიპლომატიის განვითარებას, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ კულტურა და სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში.

მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც კულტურის სამსახურის მიერ, ასევე კულტურის სფეროში შექმნილი ააიპ-ების მიერ.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1168,0 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში



პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2019 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1168.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	20.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	20.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1143.0
05 02 01	კულტურული ღონისძიებები	53.0
05 02 02	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრი	1090,0
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	5,0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 01		20,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება: ყაზბეგის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით; პროგრამის მიზანია: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა სპორტსმენების დაჯილდოება		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მათ შორის: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტ ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული და სხვა;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		53,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის და სოციალური დაცვის სამსახური		



სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით ხალხური ხელოვნების ყველა დარგის განვითარების მხარდჭერას. ყოველწლიურად იმართება სახალხო დღესასწაული "ყაზბეგობა", რომლის მიზანია ხევის ტრადიციების პოპულარიზაცია და დიდი ქართველი მწერლის ალ. ყაზბეგის ხსოვნის უკვდავყოფა, ქართული ფოლკლორის განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება;
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება; პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	განათლების,კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		1090,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების , კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება დაბა სტეფანწმინდაში მდებარე ცენტრი. მისი მიზანია მცირე მმართველი გუნდის მეშვეობით ეფექტურად განახორციელოს ყველა დაგეგმილი აქტივობა და მდგრადი ფუნქციონირებით ხელი შეუწყოს, ბიბლიოთეკების, განათლების, კულტურისა და სპორტის მიმართულებების წარმატებით ფუნქციონირებას.დაბა სტეფანწმინდაში ფუნქციონირებს ერთი კულტურის სახლი.		
	კულტურის სახლში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები.ფუნქციონირებს სახელოვნებო, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლები და წრეები:ქორეოგრაფიული,ხალხური საკრავების,ფოლკლორული სიმღერის,ხეზე კვეთის,ანტიფონური გალობის,მხატვრული ლიტერატურის. ამ წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 248 აღსაზრდელი, ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებში ჩართულია 147-მდე მონაწილე. დაფინანსება 711,8 ათასი ლარი.დაგეგმილია სხვადასხვა კონცერტების,ფესტივალების და კონკურსების ჩატარება.		
	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება 1 ცენტრალური და 4 სოფლად მდებარე ბიბლიოთეკა.		
	მუნიციპალიტეტის 5 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 15000 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 700 მოსახლე. ემსახურება 10 თანამშრომელი.დაფინანსება 232.8 ათ.ლარი.		
	მუნიციპალიტეტში სპორტი არის პოპულარული, რაც გამოიხატება მოსახლეობაში ჯანმრთელობის ჯანსაღი მდგომარეობით, ჩატარდება სხვადასხვა სპორტული აქტივობები, სადაც საშუალოდ მონაწილეობას მიიღებს 500 ადამიანი, ფუნქციონირებს სხვადასხვა წერე როგორიცაა: ფეხბურთი, ჭიდაობა, მეკლდეურობა, რაგბი და სადაც რეგისტრირებულია 170 მოზარდი , რაც მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის 13% პროცენტია. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში არის სულ ჭიდაობის 1 სახეობა თავისუფალი, სადაც ფუნქციონირებს 3 წრე და სულ ჩართულია 42 მოზარდი. ქვეპროგრამის მიზანია უფრო მეტი ახალგაზრდის მოზიდვა და ჩართვა ამ მიმართულებით, რისთვისაც გათვალისწინებულია ადგილობრივი და გასვლით შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება, დაინტერესების მიზნით სხვადასხვა საპრიზო ფონდების შექმნა, სტიპენდიების დანიშვნა.		
	მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; ბიბლიოთეკებისა და სპორტისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა.		
	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. კულტურის სახლების მიერ სრულად არის დაკმაყოფილებული		



მოსალოდნელი შედეგი	ქორეოგრაფიულ, ფოლკლორულ და საესტრადო წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. ბიბლიოთეკები საკუთარი მომსახურებას სთავაზობენ მსურველებს. ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით (ხელფასი და სხვა)
--------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარებში
	05 03		5,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის,ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდულ პოლიტიკასთან		

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 515,7 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის პროექტი
